სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

სკოპინგის განცხადება

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ შპს „იბერია ელექტროსერვისის" (ს/კ: 216402060) საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ელექტრული მოწყობილობების რემონტი. შპს „იბერია ელექტროსერვისი" ახორციელებს ელექტროძრავებისა და ტრანსფორმატორების სარემონტო სამუშაოებს.

ტრანსფორმატორების სარემონტო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი სატრანსფორმატორო ზეთის ოპტიმალური მართვისა და ხელახალი გამოყენების მიზნით, შპს „იბერია ელექტროსერვისი" ახორციელებს ასევე ნამუშევარი სატრანსფორმატორო ზეთის აღდგენას (რეგენერაციას), რომლის საპროექტო წარმადობა წლის ჭრილში 10 ტონას აღემატება.

შპს „იბერია ელექტროსერვისი" საქმიანობას ახორციელებს ქ. რუსთავში, დავით გარეჯის N28 ქუჩაზე (ს.კ: 02.07.04.086). შპს „ბიზნეს ენერგია+"-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საიდანაც საწარმოო მიზნებისთვის გამოყენებული 600 კვ.მ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „იბერია ელექტროსერვისი" სარგებლობაშია.

ვინაიდან სატრანსფორმატორო ზეთი წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს, ხოლო საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართის მე-16 პუნქტის შესაბამისად, სახიფათო ნარჩენების აღდგენის საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) პროცედურას, შპს „იბერია ელექტროსერვისის" მიერ ნამუშევარი სატრანსფორმატორო ზეთის აღდგენის (რეგენერაციის) საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის პროცედურის გავლისა და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა საქმიანობის სკოპინგის ანგარიში, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტში წარმოდგენილია საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები, მისი განხორციელების შედეგად მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე ის საკითხები, რომლებიც საჭიროებს დეტალურ შესწავლასა და შეფასებას გზშ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპზე.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურის (გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის) მიერ სკოპინგის განცხადების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკოპინგის განცხადებას, სკოპინგის ანგარიშთან და Shp ფაილებთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„28" 07 2026 წ.
№ 11427

დანართები:

- სკოპინგის ანგარიში (ელექტრონული / მატერიალური)
- Shp ფაილები (ელექტრონული)

პატივისცემით,

შპს „იბერია ელექტროსერვისის" დირექტორი:
მამუკა ზეგაშვილი

27.07.2026